ქ. მარნეულში რუსთაველის ქუჩაზე ბიბლიოთეკის შენობის მშენებლობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო

დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა

საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი №3

ქ. მარნეული 06.06.2014 წელი

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

ისპანდიარ ქერიმოვი - მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე –კომისიის თავმჯდომარე;

ზაურ ტაბატაძე - მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე – კომისიის წევრი;

მალხაზ სამაშვილი -მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი – კომისიის წევრი;

დავით ხარშილაძე -ეკონომიკური განვითარების და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი– კომისიის წევრი;

ვუგარ მამედოვი -საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის უფროსი– კომისიის წევრი;

ლერი ფანგანი – ინფრასტრუქტურის განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი – კომისიის წევრი;

ნინო დეკანოიძე - იურიდიული სამსახურის უფროსი – კომისიის წევრი;

დღის წესრიგი:

ქ. მარნეულში რუსთაველის ქუჩაზე ბიბლიოთეკის შენობის მშენებლობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონკურსში მონაწილე კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი დაზუსტებული საკონკურსო დოკუმენტური მასალების განხილვა, წარმოდგენილი კონკურსანტების შეფასების პროცედურაზე დაშვება, შეფასების პროცედურის განხორციელება, გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა და მისი სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების გაფორმებაზე მოწვევა.

<u>მსვლელობა:</u> საკონკურსო კომისიამ დეტალურად განიხილა კონკურსანტების შ.პ.ს ,,საქპროექტარქიტექტურა"–ს და შ.პ.ს ,,მშენ-ექსპერტი"-ს მიერ წარმოდგენილი დაზუსტებული საკონკურსო დოკუმენტაციები და მიიჩნია, რომ წარმოდგენილი კონკურსანტების საკონკურსო მასალები სავსებით დამაკმაყოფილებელია და გამართულია სამართლებრივად, რის შემდგომაც უკვე შესაძლებელი გახდა ამ ორგანიზაციების შემდგომ შეფასებით პროცედურაზე დაშვება. საკონკურსო კომისიამ სრული შემადგენლობით კონკურსანტების შეფასებისას იხელმძღვანელა რა – საკონკურსო წინადადებების ფასის, გასაწევი მომსახურების ხარისხის და საპროექტო ობიექტის ექსპლუატაციის მინიმალური საგარანტიო ვადების, კონკურსანტების გამოცდილების, გასაწევი მომსახურების სავალდებულო ვადების და საპროექტო შენობა/ნაგებობების არქიტექტურული დიზაინის/ვიზუალიზაციის კრიტერიუმების მიხედვით და მათი პრიორიტეტულობის კოეფიციენტების საშუალებით და საკონკურსო კომისიის წევრთა ხმათა უმრავლესობით უპირატესობა მიანიჭა შ.პ.ს ,,მშენ–ექსპერტი"–ს საკონკურსო წინადადებას.

კომისიამ იხელმძღვანელა, რა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით და „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის #3 ბრძანებით", დაადგინა:

1. საკონკურსო კომისიის წევრთა სრული შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდეს შ.პ.ს „მშენ-ექსპერტი"-ს საკონკურსო წინადადება.
2. გაეგზავნოს შეტყობინება შ.პ.ს „მშენ-ექსპერტი"-ს ხელმძღვანელობას, რათა არანაკლებ 3 სამუშაო დღის და არაუმეტეს 5 სამუშაო დღის განმავლობაში მობრძანდნენ მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ადმინისტრაციულ შენობაში შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების მიზნით.
3. დაევალოს საკონკურსო კომისიის აპარატის წევრს ზანდა კვანჭიანს ხელშეკრულების გაფორმებაზე მოწვევის წერილობითი შეტყობინება, კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დაზუსტებული დოკუმენტური მასალები, საკონკურსო კომისიის წევრების კონკურსანტების შეფასების ცხრილები ხელწერილები და წინადმებარე ოქმი ხელმოწერისთანავე დასკანერებული სახით გაუგზავნოს სააგენტოს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

კომისიის თავმჯდომარე — ალბანდიარ ქერინოვი

კომისიის წევრები — ზაურ ტაბატაძე

დავით ხარშილაძე

მალხაზ სამაშვილი

ვუგარ მამედოვი

ლერი ფანგანი

ნინო დეკანოიძე